ა(ა)იპ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბრძანება

19. 09. 2012 N 120

თბილისი

სტუდენტთა მობილობის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის და საფასურის დამტკიცების შესახებ“, სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2012 წლის 14 სექტემბრის N 737 ბრძანების, ა(ა)იპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის შესახებ ინსტრუქციისა და სტუ–ს აკადემიური საბჭოს 2012 წლის 17 სექტემბრის № 745 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ა(ა)იპ – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2012-2013 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველებმა, სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პორტალზე რეგისტრაციის შემდეგ (2012 წლის 20-21 სექტემბერი www.eqe.ge) განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია (დანართი 1) უნდა წარმოადგინონ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2012 წლის 22, 23 და 24 სექტემბერს. საბუთები მიიღება 10^{00} საათიდან 16^{00} საათამდე (თბილისი, კოსტავას 77, ადმინისტრაციული კორპუსი, მე–3 სართული, ოთახი N350);
2. სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის პროცესების წარმართვა დაევალოს სტუ–ს სწავლების დეპარტამენტის განყოფილების უფროსს დ. ბიბილეიშვილს;
3. განცხადებების არსებული წესით რეგისტრაცია დაევალოს სტუ–ს კანცელარიის უფროსს ე. ოხანაშვილს;
4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტების დეკანებმა (ზ.გედენიძე, გ.არაბიძე, ნ.წერეთელი, ო.გელაშვილი, ზ.წვერაიძე) და დიზაინის საერთაშორისო სკოლის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა (ზ.ციკოლია) მოამზადონ მოტივირებული დასკვნები და წარადგინონ ისინი სწავლების დეპარტამენტში არსებული წესის თანახმად (დანართი 2) არა უგვიანეს 24 სექტემბრისა;

5. 2012-2013 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან ა(ა)იპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა შესახებ ბრძანების პროექტის მომზადება და თანდართული დოკუმენტაციით სსიპ – განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრში წარდგენა უზრუნველყოს სწავლების დეპარტამენტმა არა უგვიანეს 2012 წლის 25 სექტემბრისა;
6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტის უფროსს ი. ლომიძეს;
7. ბრძანება განთავსდეს ა(ა)იპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი ა.ფრანგიშვილი

ვიზები:

რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში

ლ.კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის უფროსი

ი.ლომიძე

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

ბ.მაისურაძე

დანართი 1.

მობილობისთვის წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

1. განცხადება;
2. პირადობის მოწმობის ასლი;
3. სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი), დამოწმებული ბეჭდით;
4. ატესტატის (დიპლომის) ასლი;
5. ეროვნული გამოცდების სერტიფიკატის ასლი (არსებობის შემთხვევაში);
6. ჩარიცხვის ბრძანების ასლი, დამოწმებული ბეჭდით;
7. სამხედრო მიწერის მოწმობის ასლი (ვაჟებისათვის).

დანართი 2

საქართველოს ტექნიკური უნივერისტეტის

რექტორის მოადგილე _____ ლ. კლიმიაშვილი

დასკვნა

სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ

(სტუდენტთა გადმოყვანა-მობილობა)

ინფორმაცია სტუდენტის შესახებ:	
სახელი და გვარი:	
სტუდენტის პირადი ნომერი:	
განათლების საფეხური:	❑ პროფესიული უმაღლესი ❑ ბაკალავრიატი ❑ მაგისტრატურა ❑ დოქტორანტურა

ინფორმაცია გამომშვები უმღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (უსდ) შესახებ:	
გამომშვები უსდ-ს დასახელება:	
გამომშვებ უსდ-ში გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:	
გამომშვებ უსდ-ში სტუდენტის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ბრძანების ნომერი და თარიღი:	

ინფორმაცია მიმღები ფაკულტეტის შესახებ:	
მიმღები ფაკულტეტის დასახელება:	
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:	

სტუდენტის მიერ დაგროვილი კრედიტების ანალიზი:

საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით სტუდენტის მიერ გამომშვებ უსდ-ში შესწავლილი საგნების ჩამონათვალი (სემესტრების მითითებით)	სასწავლო კურსის მოცულობა,		შეფასება	სტუ-ში საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით საგნების ჩამონათვალი (სემესტრების მითითებით)	სასწავლო კურსის მოცულობა,	
	ECTS კრედი-ტი	აკადემი ური საათი			ECTS კრედი-ტი	აკადემი ური საათი

გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის თავსებადობის შესახებ:	
სტუდენტის მიერ გამომშვები უსდ-ში შესწავლილი საგნების რაოდენობა:	
სტუდენტის მიერ გამომშვები უსდ-ში დაგროვილი კრედიტების რაოდენობა:	
მათ შორის სტუ -ს მიერ აღიარებული საგნების რაოდენობა:	
მათ შორის სტუ-ს მიერ აღიარებული კრედიტების რაოდენობა:	

დასკვნა:	
❑ რეკომენდირებულია გადმოყვანა	❑ გადმოყვანა არ არის რეკომენდირებული
შენიშვნა	
_____	

ფაკულტეტზე ჩარიცხვის შემდეგ ასათვისებელი საგნების რაოდენობა:	

ასათვისებელი საგნების ჩამონათვალი		
№	საგნის დასახელება	ECTS კრედიტი
	სულ ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა:	

სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის უფროსი:	_____	_____ ხელმოწერა
ფაკულტეტის დეკანი:	_____	_____ ხელმოწერა
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი:	_____	_____ ხელმოწერა
აკადემიური დეპარტამენტის უფროსი:	_____	_____ ხელმოწერა